ᲩᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲜᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 43-Ე ᲬᲚᲘ | № 136 (12344) | ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1962 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲕᲐᲓᲘᲓᲝᲗ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ

ᲮᲣᲗᲐᲡᲝᲕᲜᲔᲑᲘ

ᲮᲣᲗᲐᲡᲝᲕᲜᲔᲑᲘ! — ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲔᲚ ᲛᲔᲩᲐᲘᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲔᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲐᲡᲔᲐ. ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲛᲠᲐᲕᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲦᲘᲣᲠ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲮᲣᲗᲛᲐ�გᲐᲓ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ. ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲑᲘᲡᲐ 304 ᲢᲝᲜᲘᲗ ᲛᲔᲢᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ ᲛᲝᲙᲠᲘᲤᲔᲡ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ.

ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ ᲑᲠᲔᲡᲘᲚᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲩᲐᲘᲔ ᲜᲘᲜᲝ ᲛᲐᲠᲨᲐᲜᲘᲐ. ᲘᲒᲘ 0,4 ᲰᲔᲥᲢᲐᲠ ᲩᲐᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲣᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲨᲘ 100-110 �კᲘᲚᲝ�გᲠᲐᲛ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ ᲙᲠᲔᲤᲡ. ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲡ 1.500 ᲙᲘᲚᲝ�გᲠᲐᲛᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘ.

ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲐ ᲡᲐᲬᲘᲠᲘᲡᲗᲐ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ, ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲔᲚᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲠᲘᲛᲐ ᲒᲕᲔᲜᲔᲢᲐᲫᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲬᲚᲘᲡ 5,5 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲑᲠᲐᲕᲡ. ᲛᲐᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲝᲠ ᲢᲝᲜᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘ.

Ი. ᲭᲐᲠᲭᲐᲨᲐᲫᲔ.

ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲖᲐ — ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡᲐᲡ!

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲐ, ᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ, ᲓᲐ ᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲑᲔᲓᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲘᲙᲕᲚᲔᲕᲡ ᲬᲘᲜ ᲒᲖᲐᲡ, ᲘᲙᲠᲔᲑ ᲫᲐᲚᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘᲗ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲨᲔᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲤᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ. ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ, ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲪᲓᲐᲒᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲰᲘᲠᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡ, ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲘᲠᲒᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠ�გᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲨᲘ. ᲑᲔᲠᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲓᲐᲒᲒᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ, ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲪᲓᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲰᲘᲠᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡ, ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲘᲠᲒᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲛᲐᲗᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓᲐᲜ ᲐᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲘᲡ.

ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡᲐᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ

ალვზარდოთ მომავლის ადამიანები

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი „სკკპ XXII ყრილობა და ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში“.

პლენუმი გახსნა საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **რ. ფრუიძემ.**

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **ე. სალუქვაძემ.**

ჩვენი პარტიის ისტორია, თქვა მან, აღსავსეა ხალხის კეთილდღეობისათვის გამიზნული მრავალი საქმით. ჩვენი მიღწევები ცხოვრების ყველა დარგში ყველაზე დიდ მეოცნებეებსაც კი აოცებენ. ამ მიღწევებს, ახალი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლისა და შრომის წლებს ყოველთვის თან ახლდა კომუნისტური პარტიის ზრუნვა ადამიანის აღზრდისათვის, მისი სულიერი სახის სრულყოფისათვის. ეს იყო რთული და ხანგრძლივი შემოქმედებითი პროცესი. პარტია მოთმინებითა და დაბეჯითებით იყენებდა პოლიტიკურ-მასობრივი და საგაგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ბევრ ფორმასა და მეთოდს, თანდათანობით სრულყოფდა მათ.

ახლა ჩვენ ჩვეულებრივ მოვლენად მიგვაჩნია, როცა საბჭოთა ადამიანები — კომუნისტები, კომკავშირელები, უპარტიოები ხალისით ასრულებენ საზოგადოებრივ დავალებებს, უანგაროდ ახმარენ მთელ დღეებსა და თვეებს საზოგადოებრივ საქმიანობას, მონაწილეობენ ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობაში, წესრიგის დაცვაში, ეხმარებიან ამხანაგებს სიძნელეთა დაძლევაში. ასეთია ახალი ადამიანის, სოციალიზმის ადამიანის ბუნება.

ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად თბილისელებმა მხურვალედ მოიწონეს სკკპ ისტორიული XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი, მიიღეს ისინი მოქმედების საბრძოლო პროგრამად. ყველგან, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე აღმავლობაა. დიდი წარმატებებია მოპოვებული მრეწველობაში, მშენებლობაში, მეცნიერებასა და კულტურაში. ახალი ძალით გაიშალა პატრიოტული მოძრაობა კომუნისტური შრომისთვის. გაიზარდა კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელების რაოდენობა.

ეს წარმატებანი ყველას ახარებს, მაგრამ არ შეიძლება მიღწევებთან ერთად არ ვხედავდეთ ცალკეული დარგების, უბნების ჩამორჩენას. ჩვენს სინამდვილეში ჯერ კიდევ არის ცალკეული ადამიანების მიერ კომუნისტური მორალის ნორმების დარღვევის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვაცების შემთხვევები და სხვა. მახინჯი მოვლენები. ეს იმის შედეგია, რომ სერიოზული ნაკლოვანებებია ადამიანებთან მუშაობაში, მათის აღზრდაში.

ახლა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების წინაშე დგება ამოცანა—უახლოეს ხანში შევამციროთ, შემდგომ კი საბოლოოდ აღმოვფხვრათ სოციალისტური კანონიერებისა და საერთო ცხოვრების წესების უხეში დარღვევები, გადაჭრით ვებრძოლოთ ყოველივე ამას, რაც აფერხებს ჩვენს წინსვლას.

იდეოლოგიური მუშაობის თანამედროვე ეტაპზე პარტიას მთავარ ამოცანად მიაჩნია მშრომელთა აღზრდა მაღალი იდეურობის და კომუნიზმისადმი ერთგულების, შრომისა და საზოგადოებრივი მეურნეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ბურჟუაზიული შეხედულებებისა და ჩვეულების გადმონაშთების სრული აღმოფხვრა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოზარდი თაობის აღზრდას.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რომელიც ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ განახორციელა სკკპ XXII ყრილობის ისტორიული მასალების პროპაგანდისათვის.

პარტიული პროპაგანდის ფორმები უფრო მრავალფეროვანი გახდა, მათი გაღელვის სფერო გაფართოვდა. მარტო პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ლექტორთა ჯგუფების ძალებით სკკპ XXII ყრილობის მასალების შესახებ თბილისში წაკითხულია 3.800, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საქალაქო განყოფილების ძალებით კი — 3.500 ლექცია და მოხსენება.

პარტიული პროპაგანდისა და მთელი იდეოლოგიური მუშაობის გაკლენა უაღრესად დიდ გამოხატულებას პოულობს შრომისადმი დამოკიდებულებით. დღეს ჩვენ უკვე ვხედავთ, თუ როგორ ინერგება კომუნისტური შრომა ცხოვრებაში, როგორ შედის საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრებაში ახალი კომუნისტური ჩვეულები.

მომხსენებელმა ქალაქის პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკიდან მოიყვანა მთელი რიგი მაგალითები, რომლებიც მოწმობენ კოლექტივის, შრომითი აღზრდის დიდ ძალას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ახლანდელ ეტაპზე განსაკუთრებით ამახვილებს პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღებას იმაზე, რომ უნდა გაძლიერდეს ბრძოლა სახელმწიფო ქონების დამტაცებლების, მექრთამეობის, სპეკულაციის წინააღმდეგ. მექრთამეობის, მოტყუების, ქურდობის ფაქტები გამოვლინდა ზოგიერთ სამრეწველო საწარმოში, სავაჭრო, მომარაგების, გასაღების, საფინანსო ორგანიზაციებში, კოოპერაციისა და ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში. იმისათვის, რომ ყველა გზა დავუხშოთ ანტისაზოგადოებრივ ელემენტებს, დავიცვათ საბჭოთა მოქალაქეების უფლებანი და მოვალეობანი, საჭიროა გამოვიყენოთ არა მარტო საბჭოთა კანონის ძალა, არამედ საზოგადოებრივი ზემოქმედების ძალაც.

მომხსენებელი შეეხო ახალგაზრდობაში პარტიული ორგანიზაციების აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანებს.

რომ ჩავუნერგოთ ახალგაზრდობას კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის პრინციპები, — აღნიშნა მომხსენებელმა, — არ უნდა დავიიწყოთ, რომ საბჭოთა ადამიანის განმსაზღვრელი თვისებაა საბჭოთა პატრიოტიზმი, ნამდვილი პატრიოტიზმი კი ვლინდება სწავლასა და შრომაში, ადამიანებისადმი, მუშაობისადმი დამოკიდებულებაში. არ შეიძლება გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო, ჩვენი ხალხი, არ შეიძლება გვქონდეს ნამდვილი ეროვნული სიამაყის გრძნობა, თუ პატივს არა ვცემთ ჩვენი ხალხის საუკეთესო ტრადიციებს, არ ვამდიდრებთ მათ ახალი შინაარსით, თუ არ გვიყვარს შრომა.

ჩვენ, თქვა დასასრულ მომხსენებელმა, შესანიშნავ დროს ვცხოვრობთ. მუშები და კოლმეურნეები, ინჟინრები, სამეურნეო, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერები და მასწავლებლები ცდილობენ იცხოვრონ და იშრომონ კომუნისტურად. ეჰეი არ არის, რომ თბილისის პარტიული ორგანიზაცია წარმატებით შეასრულებს დასახულ პასუხსაგებ ამოცანას— აღზარდოს ახალი ადამიანი, მომავლის ადამიანი.

პლენუმის მონაწილეებმა, რომელთა შორის იყვნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, საწარმოებისა და დაწესებულებების, სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციების, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სპქმიან ატმოსფეროში განიხილეს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის დამკვიდრებისათვის.

— უკანასკნელ ხანს, — თქვა პარტიის პირველი მაისის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **გ. გოშაძემ**, — ჩვენი რაიონის პარტიული ორგანიზაციის იდეოლოგიური მუშაობა უფრო მიზანსწრაფული, უფრო ღრმაშინაარსიანი, ფორმებისა და მეთოდების მიხედვით უფრო მრავალფეროვანი გახდა. პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა უფრო მიუახლოვდა ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას. ლექციები და მოხსენებები, აგიტატორთა საუბრები უფრო მჭიდროდ კავშირდება ამა თუ იმ კოლექტივის წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებს.

თბილისის ავეჯის კომბინატის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. **ე. ბადრიძემ** ილაპარაკა თავისი კოლექტივის შრომითს საქმეებზე.

ლიტერატურისა და ხელოვნების როლს ახალი ადამიანის, განსაკუთრებით კი მოზარდი თაობის აღზრდაში მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ამხ. **ს. ჭილაიამ.**

კამეოლ-მაუდის კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. **გ. გამცემლიძემ** მთავარი ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა ვაძლიერდეს ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს შეუქმნას საბჭოთა ადამიანებს არასწორი წარმოდგენა „კაპიტალისტურ სამოთხეზე“. უნდა გაძლიერდეს აგრეთვე ანტირელიგიური და ათეისტური პროპაგანდა.

თუ რა კეთილნაყოფიერად იმოქმედა მოსწავლეთა აღზრდაზე კომუნისტური პარტიის მიერ განხორციელებულმა სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნამ, ამაზე ილაპარაკა თავისი სკოლის მაგალითის მიხედვით ქალაქ თბილისის 43-ე საშუალო სკოლის დირექტორმა ამხ. **გ. კორსაველმა.**

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, სოციალისტური კანონების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ მუშაობას ეწევიან მილიციის ორგანოები. უკანასკნელ ხანს მათი უფლება-მოვალეობა მნიშვნელოვნად გაფართოდა. მაგრამ ადამიანთა აღზრდისათვის არ შეიძლება მარტო ადმინისტრაციული მეთოდებით ვიბრძოდეთ. ეს აზრი გამოთქვა ქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსმა ამხ. **ა. ოსეფაიშვილმა.** მან თქვა, რომ იმ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც ასე აღელვებს ჩვენს საზოგადოებრიობას, სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევების, ხულიგნობის, ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჯერ კიდევ სუსტად არის ჩაბმული საზოგადოებრიობა, უნდა გაუმჯობესდეს სახალხო რაზმების მუშაობა.

გაზეთ „თბილისის“ რედაქტორმა ამხ. **ნ. ჯაშმა** ილაპარაკა პრესის როლზე კომუნიზმის შენებლის მორალური კოდექსის დამკვიდრებაში.

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის წარმატებები საყოველთაოდ ცნობილია, — ამბობს უნივერსიტეტის რექტორი ამხ. **ე. ხარაძე,** — მაგრამ ახალგაზრდობის მომზადებაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. კერძოდ, სტუდენტთა ნაწილი გულგრილად ეკიდება შრომას, საზოგადოებას, გვხვდება ხულიგნობის, ლოთობის ფაქტები. უნივერსიტეტის რექტორატი და პარტიული ორგანიზაცია ახორციელებენ ღონისძიებებს, რათა გაუმჯობესდეს მასწავლებელთა კადრების შერჩევა. თვითეული მასწავლებელი სტუდენტთა მეგობარი, მჩრეველი უნდა იყოს, უნდა ზრდიდეს მათ საკუთარი მაგალითით.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ამხ. **თ. ეგაძემ** ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის ეთიკურ და ესთეტიკურ აღზრდას.

საქართველოს სსრ მეცხიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. **ს. წერეთელმა** თავისი გამოსვლა მიუძღვნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა როლს კომუნისტური საზოგადოების წევრთა კომუნისტური მორალის პრინციპების ჩამოყალიბებაში.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგები **გ. გეგეშიძე, ვ. სირაძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ამხანაგები **ი. რთველიაშვილი, მ. გოგიჩაიშვილი.** (საქდესი).

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

არავითარი დანდობა მუქთახორებს, დამჯაცებლებს!

გაიმართა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. მ. ბლაუბას მოხსენება „მექრთამეობის, სახალხო დოვლათის გაფლანგვისა და დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აფხაზეთის მშრომელებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პარტიის პროგრამისა და XXII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელების საქმეში.

საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობს ათასობით პატიოსანი ადამიანი, რომლებიც თავიანთი შრომით ქმნიან მატერიალურ დოვლათს. მაგრამ ამასთანავე, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ცალკეული თაღლითები, სახელმწიფო დოვლათის დამტაცებლები, მუქთახორები, მექრთამეები, სპეკულანტები, რომლებიც ისწრაფვიან სახელმწიფოს ხარჯზე პირადი გამდიდრებისაკენ, ხელყოფენ სახალხო ქონებას.

პლენუმზე აღინიშნა აგრეთვე ის ღონისძიებანი, რომლებსაც პარტიული კომიტეტები ახორციელებენ სხვადასხვა ჯურის კომბინატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ეს ღონისძიებები არ არის საკმარისი. ამაზე მეტყველებს მრავალი ფაქტი, რომლებიც პლენუმის მონაწილეებმა მოიყვანეს. სარეკლობს რა პარტიული კომიტეტების მხრივ სუსტი კონტროლით, სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის ორგანოების ბუღგრილი დამოკიდებულებით და ლიბერალური გადაწყვეტილებებით, აფხაზეთში ბევრი თაღლითი და მუქთახორა თავისუფლად გრძნობს თავს.

ტყვარჩელის სახალხო სასამართლომ პუდრვის თავმჯდომარეობით პირობითი სასჯელი აკმარა ვალის საქალაქო სამომხმარებლო საზოგადოების მუშაკებს ლობჟანიძესა და ბულისკერიას, რომლებმაც ფიქტიური დოკუმენტების შეთითხნის გზით მითვისეს 3.243 მანეთი.

ნაცვლად იმისა, რომ ფხიზლად იდგნენ საბჭოთა კანონიერების სადარაჯოზე, მილიციის ზოგიერთი მუშაკი ბირქით იქცევა, თვითონ იდენს დანაშაულს. მილიციის დრანდის განყოფილების ოპერწყვნებულმა შედანიმ სპეკულანტ მესხისაგან ქრთამად მიიღო 220 მანეთი. ქრთამის ამღები და ქრთამის მომცემი მიეცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მაგრამ აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ შედანის მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მესხს — ერთი წლით პატიმრობა. მხოლოდ საქართველოს სსრ პროკურატურის პროტესტის შემდეგ გაუდიდდათ მათ სასჯელის ზომა.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე

სოხუმის რაიონის სახალხო მოსამართლე ა. ქარდავა დაუშვებლად აჭიანურებს სოხუმმრეწვეაჭრობის ყოფილი მუშაკის, სახალხო დოვლათის გამფლანგველის ა. მარღანიას საქმის გარჩევას.

ქ. სოხუმის პროკურატურის გამომძიებელს ლუკავას 1961 წლის მაისიდან აქვს სისხლის სამართლის საქმე № 1 საკოლმეურნეო ბაზრის საწყობის ყოფილი გამგის ა. სოგომონოვასი, რომელმაც გაფლანგა 4.700 მანეთი. დღემდე აფხაზეთში გაუხსნელია სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დატაცების რამდენიმე საქმე, რომლებიც ჩადენილია უკანასკნელი ორი წლის მანძილზე. ამასთან სახელმწიფო ზარალი მრავალათას მანეთს შეადგენს.

დატაცებისა და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ არადამაკმაყოფილებელი ბრძოლის შედეგად სოხუმის საქსოფაბრიკაში, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში, მეთევზეთა კოლმეურნეობაში, გუდაუთის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატში, აფხაზეთგინეკოლოგიაში, აფხაზეთვინკომბინატში და ტყვარჩელის № 1 ავტოსატარანსპორტო კანტორაში დათარეშობდნენ გამფლანგველთა ჯგუფები, რომლებიც ეწეოდნენ კერძომეკუთვნილ საქმიანობას და იტაცებდნენ სახელმწიფო დოვლათს.

სოხუმის საქსოვ ფაბრიკაში უსინდისო ელემენტები საწარმოს ხელმძღვანელი მუშაკების უშუალო მონაწილეობითა და მფარველობით იტაცებდნენ სახელმწიფო ქონებას. პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით ფაბრიკის დირექტორი ჯოამაძე და უფროსი ოსტატი არამიანი მოხსნილ იქნენ სამუშაოდან და დაედოთ მკაცრი პარტიული სასჯელი. სამუშაოდან მოხსნილ იქნენ და პარტიიდან გაირიცხნენ მთავარი ინჟინერი ყიფიანი და უფროსი ოსტატი კუმუხიძე. სახალხო ქონების დამტაცებელმა ყიფიანმა მოკლე დროში აიშენა დიდი კაპიტალური სახლი და შეიძინა ორი ავტომანქანა „ვოლგა“.

სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატში (დირექტორი ვ. ნადირაშვილი, პარტბიუროს მდივანი ა. თოფურია) არ იღებდნენ გადამჭრელ ზომებს დატაცების წინააღმდეგ, არ აძლევდნენ კონკრეტულ დამნაშავეებს პასუხისგებაში. აქ ჩაწილილი იყო აღრიცხვა და ყველა პირობა არსებობდა უკონტროლო მუშაობისათვის. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმეში პარტიული ორგანოები ჩაერიენენ, მატერიალურ ფასეულობათა დატაცების უშუალო დამნაშავენი ტუხაშვილი, გალდავა, ტყუბუჩავა და სხვები მოიხსნენ სამუშაოდან და მიეცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში. კომბინატის ხელმძღვანელებს მკაცრი პარტიული სასჯელი დაედოთ.

სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევისა და ბოროტმოქმედების შემთხვევები გამოვლინდა გუდაუთის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში, სადაც კერძომესაკუთრული საქმიანობის ფაქტებს ჰქონდა ადგილი. კომბინატის ხელმძღვანელთა მფარველობით ხანგრძლივი დროის მანძილზე აქ დათარეშობდა საქმოსანი ვინმე იოფე, რომელიც არაფერს არ იშურებდა პირადი გამდიდრებისათვის. კომბინატში ოსტატებად და საამქროთა უფროსებად მოეწყვნენ არაკეთილსინდისიერი პირები. საწარმოში არასწორად შემნეს ისეთი საამქრო, რომელიც უშვებდა და ჰყიდდა პროდუქციას ტექნიკური პირობებისა და ხარჯების დაუმტკიცებლად. პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით კომბინატის დირექტორი კუცია მოიხსნა სამუშაოდან და გაირიცხა პარტიის რიგებიდან. სამუშაოდან მოიხსნა და მკაცრი პარტიული სასჯელი დაედო ტექნიკურ ხელმძღვანელს ტარკილს.

ტყვარჩელის № 1 ავტოსატარანსპორტო კანტორაში დიდი ხნის მანძილზე მოკალთაებული იყო დამნაშავეთა ჯგუფი, რომელმაც მიითვისა 82.837 მანეთის (ახალი ფულით) სახელმწიფო სახსრები. ამ საქმეზე სასამართლო პასუხისგებაში მიეცემული არიან მთელი რიგი მუშაკები.

ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის მექრთამეობის ფაქტები. საბჭოთა მართლმსაჯულებამ დამსახურებულად დასაჯა სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს ყოფილი უფროსი შ. ბეჭვაია, რომელმაც ბინების უკანონოდ გაცემისათვის ქრთამად მიიღო 120.000 მანეთი (ძველი ფულით). მაგრამ ამ გაკვეთილიდან სათანადო დასკვნები არ გაკეთია საქალაქო საბჭოს აღმასკომის ზოგიერთმა არაკეთილსინდისიერმა მუშაკმა. ამას წინათ აქ გამოვლინდა სისხლის სამართლის ახალი დანაშაული, გამომეცავნიტულ იქნა მექრთამეთა ახალი ჯგუფი. ამჯერად დანაშაულზე წაასწრეს იოლი გზით გამდიდრების მოყვარულთა ს. ჭელიძეს, ი. კვეკვესკირს, კ. გულბანსა და სხვებს.

ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ ჯერ კიდევ არ ეჭცევა სათანადო ყურადღება კადრების სწორად შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას. მთელი რიგი ხელმძღვანელი მუშაკები კადრებს არჩევენ და ნიშნავენ არა საქმიანი ნიშნის მიხედვით, არამედ ნაცნობობის და ძმაბიჭობის პრინციპით. მაშ რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ აფხაზეთის ასსრ მინისტრმა ვლ. მარღანიამ სოხუმის უნივერმაღის დირექტორად დანიშნა ვ. ოკიობა, რომელიც წინათ [illegible] ... ბაზაში. კომბინატის ხელმძღვანელებს მკაცრი პარტიული სასჯელი დაედოთ.

სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევისა და ბოროტმოქმედების შემთხვევები გამოვლინდა გუდაუთის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში, სადაც კერძომესაკუთრული საქმიანობის ფაქტებს ჰქონდა ადგილი. კომბინატის ხელმძღვანელთა მფარველობით ხანგრძლივი დროის მანძილზე აქ დათარეშობდა საქმოსანი ვინმე იოფე, რომელიც არაფერს არ იშურებდა პირადი გამდიდრებისათვის. კომბინატში ოსტატებად და საამქროთა უფროსებად მოეწყვნენ არაკეთილსინდისიერი პირები. საწარმოში არასწორად შემნეს ისეთი საამქრო, რომელიც უშვებდა და ჰყიდდა პროდუქციას ტექნიკური პირობებისა და ხარჯების დაუმტკიცებლად. პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით კომბინატის დირექტორი კუცია მოიხსნა სამუშაოდან და გაირიცხა პარტიის რიგებიდან. სამუშაოდან მოიხსნა და მკაცრი პარტიული სასჯელი დაედო ტექნიკურ ხელმძღვანელს ტარკილს.

ტყვარჩელის № 1 ავტოსატარანსპორტო კანტორაში დიდი ხნის მანძილზე მოკალთაებული იყო დამნაშავეთა ჯგუფი, რომელმაც მიითვისა 82.837 მანეთის (ახალი ფულით) სახელმწიფო სახსრები. ამ საქმეზე სასამართლო პასუხისგებაში მიეცემული არიან მთელი რიგი მუშაკები.

ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის მექრთამეობის ფაქტები. საბჭოთა მართლმსაჯულებამ დამსახურებულად დასაჯა სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს ყოფილი უფროსი შ. ბეჭვაია, რომელმაც ბინების უკანონოდ გაცემისათვის ქრთამად მიიღო 120.000 მანეთი (ძველი ფულით). მაგრამ ამ გაკვეთილიდან სათანადო დასკვნები არ გაკეთია საქალაქო საბჭოს აღმასკომის ზოგიერთმა არაკეთილსინდისიერმა მუშაკმა. ამას წინათ აქ გამოვლინდა სისხლის სამართლის ახალი დანაშაული, გამომეცავნიტულ იქნა მექრთამეთა ახალი ჯგუფი. ამჯერად დანაშაულზე წაასწრეს იოლი გზით გამდიდრების მოყვარულთა ს. ჭელიძეს, ი. კვეკვესკირს, კ. გულბანსა და სხვებს.

ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ ჯერ კიდევ არ ეჭცევა სათანადო ყურადღება კადრების სწორად შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას. მთელი რიგი ხელმძღვანელი მუშაკები კადრებს არჩევენ და ნიშნავენ არა საქმიანი ნიშნის მიხედვით, არამედ ნაცნობობის და ძმაბიჭობის პრინციპით. მაშ რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ აფხაზეთის ასსრ

ᲐᲠᲥᲘᲤᲘ

მოვსპოთ სოციალური ჭანგი!

ვ. ი. ლენინი სოციალისტური საკუთრების დაცვისა და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

ჩვენ მოვსპეთ კაპიტალიზმი თავისი ბაზისითა და ზედნაშენით, ავაშენეთ სრულიად ახალი სოციალისტური ბაზისი და მისი შესაბამისი ახალი ზედნაშენი. ამ გიგანტური გარდაქმნათა პროცესში ძირფესვიანად შეიცვალა ადამიანთა საზოგადოებრივი ცნობიერება. მაგრამ ამაე დროს ცნობილია, რომ შრომელთა ერთი ნაწილის შეგნებაში ჯერ კიდევ არსებობს კაპიტალიზმის ნაშთები.

კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში — ეს არის ადამიანთა ის შეხედულებანი, ჩვეულებანი და ყოფაქცევის ნორმები საზოგადოებრივ საქმიანობასა და ურთიერთობაში, რომლებსაც არავითარი საფუძველი არ გააჩნიათ ჩვენს საზოგადოებაში და რომლებიც დარჩენილია ჩვენს ქვეყანაში უკვე ლიკვიდირებული კაპიტალიზმისგან. სწორედ ამიტომ არიან ისინი გადმონაშთები, სრულიად უცხო და შეუფერებელი ჩვენი სოციალისტური საზოგადოებისა და იდეოლოგიისათვის.

ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც გაუბიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ადგილი აქვს მთელ რიგ ადამიანთა მისწრაფებას რაც შეიძლება ნაკლები მისცენ საზოგადოებას, ხოლო წაგლიჯონ რაც შეიძლება მეტი. არიან ადამიანები, რომლებიც იტაცებენ საზოგადოებრივ დოვლათს, ფლანგავენ სოციალისტურ საკუთრებას, თაღლითობენ, არღვევენ სოციალისტურ კანონიერებას, ეწევიან სპეკულაციას, ხოლო ზოგიერთები ქრთამის აღებასაც არ თაკილობენ.

ძველი, მემამულეურ-ბურჟუაზიული სახელმწიფოს ყველა ეს გადმონაშთი ხელს უშლის ჩვენს წარმატებებს, აბრკოლებს კომუნიზმისაკენ წინსვლას, ფიდნიან აყენებს საბჭოთა სახელმწიფოსა და საბჭოთა ხალხს.

ვ. ი. ლენინმა საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მუქთახორობას, სპეკულაციას, მექრთამეობას და მოითხოვდა ულმობელ ბრძოლას ამ სამარცხვინო და ბავნე მოვლენების წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა შემოშავებულიყო და გატარებულიყო მრავალი ღონისძიება სოციალისტური საკუთრების დასაცავად. სოციალისტური საკუთრება ჩვენი საზოგადოების ეკონომიური საფუძველია, მისი ძლიერების, ყველა მშრომელის შეძლებული და კულტურული ცხოვრების ერთადერთი საიმედო წყაროა. ამიტომ არის იგი წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელი.

ჯერ კიდევ 1917 წლის 20 ნოემბერს ვ. ი. ლენინი გაზეთ „პრავდის“ საშუალებით მიმართავდა მთელ მშრომელ მოსახლეობას: „თვალსაჩინოვით გაუფრთხილდით, მოუარეთ მიწას, პურს, ფაბრიკებს, იარაღებს, პროდუქტებს, ტრანსპორტს — ამიერიდან ყოველივე ეს **სავსებით** თქვენი, საერთო-სახალხო კუთვნილება იქნება“.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა ისე დაგვეყენებინა სოციალისტური ქონების აღრიცხვა და კონტროლი, რომ არც ერთ გაიძვერას არ ჰქონოდა საშუალება ექურდა, მიეთვისებინა საზოგადოებრივი დოვლათი, გაეფლანგა სახელმწიფო თანხები. „არც ერთი ასმანეთიანი, — ამბობდა ლენინი, — რომელიც უმართებულოდ ჩავარდა ვისიმე ხელში, არ ასცდეს უკანეკნ სახელმწიფო ხაზინას“.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, ერთი მხრივ, ისე აღგვეზარდა ადამიანები, რომ ისინი ყოველგვარ, სულ მცირე სახალხო ქონებასაც კი უფრთხებნენ როგორც პირადი კეთილდღეობის, წყაროს, შეგნებული ჰქონდეთ, რომ არ არის პირადი კეთილდღეობა საზოგადოებრივი კეთილდღეობის გარეშე, ხოლო საზოგადოებრივი კეთილდღეობის საფუძველს წარმოადგენს სახალხო დოვლათი. ლენინი მიმართავდა ყველა მშრომელს: „წესიერად და კეთილსინდისიერად აწარმოე ფულის ანგარიში, ხელმომჭირნეულ გაუჭერ მეურნეობას, ნუ იზარმაცებ, ნუ იქურდებ, დაიცავი უსასტიკესი დისციპლინა შრომაში“. მეორე მხრივ, ლენინი მოითხოვდა, რომ სოციალისტური ქონების დამტაცებლები, ქურდები, გამფლანგველები მიჩნეული ყოფილიყვნენ ხალხის, სოციალიზმის უბოროტეს მტრებად და ყველა ასეთი პირი დასჯილიყო რევოლუციური კანონიერების მთელი სისასტიკით.

ასევე სასტიკად გმობდა დიდი ლენინი სპეკულაციას, სპეკულანტს. იგი მუქთახორას უწოდებდა იმას, ვისაც სურს უშრომლად, იოლი გზით გამდიდრდეს და ძირი გამოუთხაროს ჩვენს ეკონომიურ ღონისძიებებს, საბჭოთა ვაჭრობას. ლენინი აცხადებდა: „სპეკულანტი, ვაჭრობის მოთარეშე, მონოპოლიის ჩამშლელი — აი ჩვენი მთავარი „შინაური“ მტერი, საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ ღონისძიებათა მტერი“.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ახლა ფართოდ განვითარებულია საბჭოთა კულტურული ვაჭრობა, მაინც არიან სპეკულანტები, გადამყიდველები. ჩვენი ვალია სასტიკად ვებრძოლოთ სპეკულანტებს და მათ ხელშემწყობებს. მოვახდინოთ მათი სრული ლიკვიდაცია. სპეკულანტები დღევანდელ პირობებში მხოლოდ თავიანთ ხელშემწყობთა მეოხებით არსებობენ, ამიტომ გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ ვაჭრობის იმ მუშაკების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უმართავენ სპეკულანტებს და უშუალოდ არ აწვდიან მომხმარებლებს მათ განკარგულებაში არსებულ საქონელს.

სადაც კარგად არის დაყენებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, სადაც მოწესრიგებულია მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა და კონტროლი, სადაც გულმოდგინედ არჩევენ კადრებს, რომელთაც აბარიათ სახალხო ქონება, სადაც არ ირღვევა რევიზიების ჩატარების წესები — იქ, როგორც წესი, არ შეიძლება იყოს სოციალისტური ქონების გაფლანგვა, მითვისება, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს სპეკულაციისათვის ხელშეწყობას.

უაღრესად გაიძვერა და საშიში პიროვნებაა მექრთამე. მართალია, ასეთები ერთეულები არიან, მაგრამ მათ მაინც დიდი ზიანი მოაქვთ სოციალისტური საზოგადოებისათვის. მექრთამეები სახელს უტეხენ საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა მუშაკებს, შხამავენ საზოგადოებრივ ატმოსფეროს. მექრთამეები ხორცმეტები, ჩირქოვანი იარები არიან საბჭოთა საზოგადოების ჯანსაღ ორგანიზმზე.

ამიტომ იყო, რომ ამ უკანასკნელ ხანებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გადიდებულ იქნა მექრთამეობისათვის დაწესებული სისხლის სამართლის სასჯელი და მექრთამეობისათვის განსაკუთრებულ დამამძიმებელ პირობებში დაწესებულია

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე

ჩვენი სამშობლოს დიდი მოჭირნახულე

1962 წლის 7 ივნისს 22 საათსა და 30 წუთზე გარდაიცვალა საქვეყნოდ განთქმული დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე.

კორნელი კეკელიძე დაბადა სოფელ ტობანიერში (ვანის რაიონში) ღარიბი მშობლების ოჯახში. მამა სამსონი მედავითნე იყო და სოფლის მეუნრე, დედა კი — უშვერიძის ქალი თებრონე — კარგი მეოჯახე, საჯავახოდან ყოფილა ტობანიერში გამთხოვილი. ამ მშრომელ ცოლ-ქმარს თერთმეტი შვილი ჰყოლიათ, მაგრამ მხოლოდ რვა შეჰრჩენიათ: ხუთი ვაჟი და სამი ქალი (აკვირინე, კორნელი, სევერიანე, ანდრო, ასინეთი, ბესო, ანასტასია და აკაკი). ამ რვათაგანაც ერთი (ბესო) 14-15 წლისა გარდაცვლილა. მშობლებს კარგად ესმოდათ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სწავლა-განათლებას, და ყოველი ღონე უხმარიათ, რომ ვაჟები მაინც სწავლისთვის გაეგზავნათ ქუთაისში.

კორნელის წერა-კითხვა შინ უსწავლია, ხოლო პირველდაწყებითი სწავლა მიუღია ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც მას 1893 წელს დაუსრულებია. იმავე წელს იგი მიუღიათ თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ჩინებულად სწავლობდა საგნებს. მისს ნიჭსა და გულმოდგინებას ყურადღება მიაქცია ისტორიკოსმა თედო ყორდანიამ, რომელიც იმ დროს სასულიერო სემინარიაში მასწავლებლობდა. მან კეკელიძე წაახალისა და გზა უჩვენა საქართველოს წარსულის შესასწავლად. სემინარიის ექვსწლიანი კურსის დასრულების შემდეგ (1900 წ.) კ. კეკელიძე შევიდა კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1904 წელს. პროფესორ დმიტრიევსკის რჩევით საკანდიდატო თხზულების თემად კ. კეკელიძემ აირჩია ქართული ლიტერატურული ძეგლების მიმოხილვა.

საკმაოდ მოზრდილი ნაშრომი, რომელიც ეხებოდა ძველი ქართული ლიტურგიკული ძეგლების სამეცნიერო მნიშვნელობას, დიდად მოეწონეს პროფესორებმა. იგივე თხზულება შემდეგ ავტორმა გადაამუშავა, შეავსო, გააღრმავა და დაბეჭდა რუსულად (1908 წ.).

თემის სიახლემ, ორიგინალურმა დამუშავებამ, მრავალი ტერმინის ახსნა-განმარტებამ და ქართული ძეგლების მნიშვნელობის საოჯახოზე გამოტანამ ერთბაშად მიიპყრო საყოველთაო ყურადღება და წიგნის ავტორს მოუტანა საყოველთაო პატივისცემა და სრულიად დამსახურებული სამეცნიერო ხარისხი მაგისტროსისა.

მაღალ მთებში შეჭრილ სვანეთს ჩვენთვის არა ერთი და ორი წარსულის ძეგლი გადაურჩენია და შემოუნახავს. განსაცდელის დროს აქ მოჰკონდათ დასაცავად ძვირფასი ისტორიული ძეგლები. სვანეთში იყო საგანგებოდ ისტორიკოსი თ. ყორდანია, რომელმაც გამოაქვეყნა საინტერესო ცნობა იქ დაცული ძველი (X ს.) ქართული ხელნაწერების შესახებ.

კ. კეკელიძეც გაეგზავნა 1911 წ. სვანეთში და ადგილობრივ, კალასა და ლატალში, შეისწავლა ეს ძვირფასი ხელნაწერები, რომლებიც შეიცავენ დაწერილებითს ცნობებს, თუ როგორი იყო ჯალუსეული წესები იერუსალიმში VII საუკუნეში. მან დაბეჭდა ქართული ტექსტი, რომელსაც დაურთო რუსული თარგმანი და ახსნა მრავალი ტერმინი. არ არის გასაკვირველი, რომ წიგნმა დიდი შეფასება მიიღო სპეციალისტებისაგან.

იერუსალიმის „წესსა და განგებას“ მოჰყვა „აარქიერატიკონის“ ქართული ტექსტის გამოცემა იმავე 1912 წელს. სპეციალისტები მას უკვე იცნობდნენ მისი რუსული თარგმანის მიხედვით, რომელსაც კ. კეკელიძემ მოათავსა 1908 წ. გამოცემულ „ლიტურგიკულ ძეგლებში“, და მოუთმენლად მოელოდნენ ქართულ ტექსტს, რომელიც, დაიბეჭდა თუ არა, მაშინვე თარგმნეს ინგლისურად და გერმანულად. ეს ორი ძეგლი ცხადად გვიჩვენებს, თუ რა ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს პალესტინასთან. ამ ნაშრომებით კ. კეკელიძემ შორს გაიგდო სადი და ჩადგა პირველხარისხოვან მეცნიერთა რიგებში.

ბელათის ხელნაწერთა კოლექციაზე მუშაობისას კ. კეკელიძე წააწყდა საყურადღებო ფაქტს, რომელმაც კიდევ უფრო ნათელყო ქართული ძეგლების დიდი მნიშვნელობა ბიზანტიური მწერლობის ისტორიისათვის. კ. კეკელიძემ აქ აღმოაჩინა ქართული თარგმანი XI საუკუნის მოღვაწე ბერძენი ლიტერატორისა, რომლის შესახებ მანამდე არაფერი იცოდნენ ბიზანტინისტებმა. ეს იყო იოანე ქსიფილინოსი, რომელსაც განეგრძო სვიმეონ ლოღოთეტის მიერ X საუკუნეში დაწყებული საქმე. ლოღოთეტს არ მოსწონდა უბრალო ფორმა და მარტივი სტილი ქრისტიანული სალიტერატურო ძეგლებისა, რომლებიც ეკლესიაში იკითხებოდა მთელი წლის განმავლობაში. ლოღოთეტმა აიღო ეს ძეგლები, გადაკეთა, გამართა თავის გემოზე, „გალამშვენიერა“ და ასე „გადამეტაფრასებული“ წარუდგინა მკითხველ საზოგადოებას. მან მოასწრო მხოლოდ ხუთი თვის განმავლობაში საკითხავი მასალის გადამუშავება, სექტემბერ-იანვრისა (მაშინ წელი ეწკინისთვით იწყებოდა). რჩებოდა 7 თვე (თებერვალ-აგვისტო), რისთვისაც XI საუკუნეში ხელი მიეყო ი. ქსიფილინოსს და დაესრულებინა კიდეც.

ქსიფილინოსის ნამუშაკევი შემოინახა ქართულმა თარგმანებმა, რომლებიც გელათში აღმოჩნდა. ეს ცნობები, ქართულ ხელნაწერებში ამოკითხული, კ. კეკელიძემ დაბეჭდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ახლად დაარსებულ ორგანოში, რომელსაც სახელად Христианский Восток ერქვა. წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სპეციალისტებზე და ამის შემდეგ ისინი უფრო და უფრო უგდებდნენ ყურს ქართული წყაროების ცნობებს. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ კ. კეკელიძე გახდა მეტად აქტიური და სასურველი თანამშრომელი ამ სეროიზული ორგანოსი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მეტად ცნობილი მეცნიერები: ნ. მარი, ვ. ბენეშევიჩი, ბ. ტურაევი, ი. ჯავახიშვილი, ე. კრაჩკოვსკი, ი. ყიფშიძე და სხვები.

შემდგომ კ. კეკელიძემ ხელი მიჰყო ძველი ქართული ლიტერატურის მდიდარი და მრავალფეროვანი მემკვიდრეობის შესწავლას და პირველ ხანებში შეჩერდა ისეთ ნათარგმნ ძეგლებზე, რომლებიც კიმენური წარმომობისა იყვნენ, ე. ი. რომლებიც ადრე ითარგმნა (X საუკუნემდის) და ჯერ კიდევ არ იყვნენ გადამუშავებული ლოღოთეტ-ქსიფილინოსის მიერ რედაქციულად და სტილისტურად. ამ ძველი რედაქციის ძეგლების ერთი დიდი ტომი კ. კეკელიძემ დაბეჭდა 1918 წელს.

კიმენური ძეგლების მეორე ტომს დაადგიანდა. იგი გამოსცა კ. კეკელიძემ 1946 წ, მაგრამ მისი ცხოვრების ამ პერიოდს ახასიათებს სხვა მხრით მიმართული დაუშრეტელი ენთუზიაზმი, თავდადებული შრომა და შემოქმედებითი კვლევა-ძიება დიდი სამეცნიერო პრობლემების გადასაწყვეტად. მაინც უნდა ითქვას, რომ კ. კეკელიძეს ტექსტების გამოცემაზედაც არ აუღია ხელი: 1935 წ. მან გამოსცა ორი ქართული ორიგინალური ძეგლი: იოანე საბანისძის „აბო ტფილელი“ და ბასილი ზარზმელის თხზულება („სერაპიონ ზარზმელი“), რომლებიც მრავალმხრივ არის საყურადღებო.

ქართველი ერის დიდი ხნის სურვილი იყო, რომ მას ჰქონოდა საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი. ამ ოცნებას ხორცი შეესხა მხოლოდ 1918 წ., როცა დიდი ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა თბილისში დააარსა უნივერსიტეტი. ამ ჯგუფში შედიოდა კ. კეკელიძეც, რომელიც ითვალთვე შეუუდგა ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსის წერას და ლექციების კითხვას ამ საგანში. დიდძალი მასალის უშუალოდ გაცნობის წყალობით მან შეძლო უკვე 1923 წელს გამოეცა ქართული ლიტერატურის ისტორიის I ტომი, რომელიც შეიცავს სასულიერო ხასიათის ძეგლების მიმოხილვას V საუკუნიდან XVIII-მდე. ამ ნაშრომს აკადემიკოსი ტაბაღუა ავსებდა და აუმჯობესებდა. მეორე გამოცემა გამოვიდა 1941 წ., მესამე — 1951 წ., ხოლო მეოთხე — 1960 წ. რაც შეეხება ქართულ საერო ლიტერატურას, კ. კეკელიძემ მას უძღვნა მეორე ტომი, რომელიც პირველად 1924 წ. გამოვიდა, მეორედ — 1941 წ., მესამედ — 1952 წ., ხოლო მეოთხედ — 1958 წ.

ამგვარად, კ. კეკელიძემ შექმნა ვაუცალი ისტორია ქართული ლიტერატურისა ორ ტომად, სადაც მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა V საუკუნიდან XVIII-მდე განხილულია მისთვის ჩვეული ოსტატობით და საგნის ღრმა ცოდნით. ეს წიგნები (ორივე ეოთად 1500 გვერდზე მეტი) სამაგიდო წიგნებად იქცა ყველა განათვლებული კაცისათვის, ვისაც კი აინტერესებს საქართველოს წარსული. აუარებელ ფაქტებს, რომლებიც დაგროვდა ქართველი ძველრელების მრავალსაუკუნოვანი და მრავალმხრივი მოღვაწეობის შედეგად, ამ ორ ტომში მოეძებნა მეცნიერული გაშუქება, რომელიც ემყარება ამ ფაქტების უშუალოდ გაცნობას. ფართო გონება, აზვიადი გამჭვრეტელობა, უნარი ერთმანეთს დაუკავშიროს თითქოს განცალკევებით მდგომი ამბები, აი რა ახასიათებს ამ შემაჯუმლებელ კაპიტალურ ნაშრომს, რომელიც წარმოშვა ცალკეული საკითხების სპეციალური შესწავლის შედეგად.

ეს გამოკვლევები ავტორმა ერთად შეკრიბა და ცალკე წიგნებად გამოსცა საერთო სათაურით: „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“. უკვე გამოვიდა 7 წიგნი, იბეჭდება მე-8. ეს გამოკვლევები, საერთოდ 2.000 გვერდზე მეტი, აძუქებს სხვადასხვა საკითხს ჩვენი წარსულიდან.

მონღოლთა შემოსევამ XIII საუკუნეში ძირი გამოუთხარა საქართველოს კულტურულ ცხოვრებას და დიდად შეაფერხა მისი კულტურული განვითარება. ამის გამო მრავალი ისტორიული და ლიტერატურული თხზულება სამუდამოდ დაიღუპა. რაც შემთხვევით გადარჩა, მთაც ადარა ჰყავდა განთელული მკითხველი და მცოდნე გადამწერი. ამიტომ არ არის გასაკვირველი, რომ ძველი ძეგლები, გადაწერილი მოუმზადებელი გადამწერლების მიერ, სავსეა შეცდომებით. ასეთია, მაგალითად, ქართლის ცხოვრების ნუსხები, რომლებიც ძალზე შერყვნილია გადამწერლებისაგან. კ. კეკელიძემ სცადა ქართლის ცხოვრების ერთი ძეგლის გამართვა და აღდგენა. ეს არის „ისტორიანანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომელის ტექსტი მან ჯერ გამოსცა (1941 წ.), მემდეგ კი საუცხოოდ თარგმნა რუსულად (1954) და დაურთო ახსნა-განმარტებანი. ბრწყინვალე ნიჭის წყალობით კ. კეკელიძემ ჩინებულად შეასწორა ზოგიერთი შერყვნილი ადგილი და ტექსტი გასაგები გახადა მკითხველისათვის.

კორნელი კეკელიძე დიდ ყურადღებას აქცევდა, რომ ქართული ძეგლები თარგმნილიყო სხვა ენებზე და ამით ხელმისაწვდომი გამხდარიყო სპეციალისტთა ფართო წრეებისათვის. ამ მიზნით მან რუსულად თარგმნა სამი ქართული ორიგინალური ძეგლი: „შუშანიკის წამება“ (V ს.), იოანე საბანისძის „აბო ტფილელი“ (VIII ს.) და ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელი“ (X ს.). თარგმანს ახლავს საჭირო ახსნა-განმარტებანი. წიგნი გამოვიდა 1956 წ.

კ. კეკელიძის სტიქიაა ძველი ქართული მწერლობის ძეგლების მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა, მათი მნიშვნელობის დადგენა და გამოვლენა, მათი ადგილის მიჩენა საერთო განვითარების ისტორიაში. ძველი ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნა მას ამის საშუალებასაც აძლევდა და ხალისსაც. მაგრამ ამასთანავე ერთად მან ბევრი გააკეთა საერო მწერლობის ტექსტების მეცნიერული გამოცემისათვისაც. პირველ რიგში აქ უნდა დავასახელოთ რომანტიკული პოემა „შვიდი მთიები“, რომელიც 1930 წ. გამოსცა. ამას გარდა, მან მონაწილეობა მიიღო „შაჰნამეს“ II ტომის გამოცემაში (1934 წ.), „ვისრამიანის“ გამოცემაში (1938 წ.) და იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ გამოცემაში (1936, 1948). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ის იყო ერთ-ერთი თავმჯდომარე, რომელმაც მოამზადა „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა (1937 წ.). ამ პოემის შემდგომი გამოცემებიც მისი მონაწილეობით იბეჭდებოდა. ბოლო წლებში ის იყო წევრი კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს პოემის ახალი გამოცემის მომზადება.

კ. კეკელიძეს ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული რუსეთისა და საზღვარგარეთის მეცნიერებთან, რომლებიც ქართველთმეტყველების დარგში მუშაობდნენ. 1928 წ. მან დაბეჭდა მცირე შენიშვნა, რომ გელათის კოლექციაში მოიპოვებოდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი. ბელგიელ ორიენტალისტს პაულ პეეტერსს ამის წაკითხვისას ფიქრად მოუვიდა გამოეცა ეს ძეგლი და ეთარგმნა. პარეგორის უნივერსიტეტის პროფესორის რობერტ ბლეიკის საშუალებით (აშშ) პეეტერსმა მიიღო ამ ხელნაწერის ფოტოპირები და 1941 წ. გამოსცა ქართული ტექსტი, დაურთო მას ლათინური თარგმანი და კომენტარიები ფრანგულ ენაზე. ამგვარად, სამი ქვეყნის მეცნიერთა შეერთებული ძალით პორფირი ღაბაელის ცხოვრება და მოღვაწეობა ცნობილი გახდა სპეციალისტთა ფართო წრეებისათვის. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ეს ძეგლი იბეჭდებოდა მძიმე პირობებში, როცა ბელგია დაპყრობილი იყო გერმანელი ფაშისტებისაგან და ქართულ ტექსტში გაიპარა შეცდომები. აუცილებელია ძეგლის ხელმეორედ გამოცემა.

X საუკუნეში იერუსალიმსა და სინას მთაზე მოღვაწეობდა იოანე-ზოსიმე, რომელმაც. სხვათა შორის, დაგვიტოვა პატარა, მაგრამ მეტად საყურადღებო „ქება ქართულისა ენისა“, რომელიც გამსჭვალულია ქართული ენის სიყვარულით. მისსავე კალამს ეკუთვნის აგრეთვე კალენდარი, რომელსაც უაღრესი მნიშვნელობის ძეგლად თვლიან როგორც სიძველის მხრივ (X საუკუნის ძეგლია), ისე ვრცელი შინაარსის გამო. კალენდარი გადმოწერა მაშინ ახალგაზრდა ისტორიკოსმა იოანე ჯავახიშვილმა სინას მთაზე ყოფნისას 1902 წ. და მომზადა გამოსაცემად, ოღონდ არ დასცალდა და გამოცემულ იქნა მისი სიკვდილის შემდეგ (1949 წ.). ეს ძეგლი კ. კეკელიძემ მეორედ გამოსცა 1951 წ. და დაურთო ახსნა-განმარტებანი. ეს გამოცემა შემდეგ საფუძვლად დაედო ლუვენის უნივერსიტეტის (ბელგიაში) პროფესორის ჟერარ გარითის ახალ გამოცემას, რომელსაც მან თავის მხრით დაურთო ლათინური თარგმანი და ვრცელი ახსნა-განმარტებანი ფრანგულ ენაზე (1958 წ.).

ჩოდაი მოღვაწეობდა ქართველი კათოლიკე მ. თარხნიშვილი, რომელიც ცნობილია, სხვათა შორის, იმით, რომ დაბეჭდა გამოკვლევა უძველესი (V-VI საუკუნის) ქართული წარწერების შესახებ, რომლებიც აღმოჩნდა 1953 წ., როცა იტალიელებმა ბეთლემთან ახლოს (იერუსალიმიდან 7-ოდე კილომეტრის დაშორებით) გათხარეს ერთი ბორცვი, სადაც პეტრე ქართველმა ააშენა ქართველთა მონასტერი (V ს.). ეს თარხნიშვილი 1958 წ. გარდაიცვალა. მაგრამ სანამ ცოცხალი იყო. აიღო კ. კეკელიძის „ისტორიის“ 1 ტომი, გადაამუშავა იგი და მიუხვნელი დოქტორის იულიუს ასფალგის დახმარებით გამოსცა გერმანულ ენაზე. ამ წიგნს კარგად შეხვდნენ დასავლეთში.

მოკლე საგაზეთო წერილში შეუძლებელია აღნუსხოს კაცმა, თუნდაც ზოგადად, რაც კ. კეკელიძეს გაუკეთებია ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმეში. ორიოდე სიტყვით რომ ვთქვათ, კ. კეკელიძემ თავისი ფართო მოზაზდებისა და დაუცხრომელი ენერგიის წყალობით ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმე ისეთ სიმაღლეზე აიყვანა, რომ იგი დიდხანს დარჩება სამაგალითო და მისაბაძი მომავალი თაობის მკვლევართათვის.

კ. კეკელიძემ პირნათლად მოიხადა თავისი ვალი, რომელიც მას დააკისრა მისმა ნიჭმა, ცოდნამ, მდგომარეობამ და საშობლოს სიყვარულმა.

აკაკი შანიძე.

უ საზღვრო მწუხარებით ემშვიდობება ქართული მწერლობა დღეს ჩვენი ლიტერატურის, ჩვენი კულტურის დიდ მოამაგეს კორნელი კეკელიძეს.

წავიდა ჩვენგან უბადლო მემატიანე მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობისა, დაუცხრომელი მკვლევარი, შუქმოსილი მეცნიერი.

თავისი გონების ძლევამოსილებით, ქვეყნისა და ხალხის საქმისათვის თავდადებით, თავისი ნათელი შთაგონებით კორნელი კეკელიძე თავად ჰგავდა იმ დიდებულ შემოქმედთ, რომლებიც თხუთმეტ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე თავიანთი ხელით ქმნიდნენ ქართული კულტურის ისტორიას. ბუმბერაზული იყო მათი შრომა, ფასდაუდებელი იყო მათი უძღვნილი ღამეები; ეს უძღვნილ ღამეები რომ არა, ჩვენ არ გვექნებოდა ახლა არც ჩვენი კულტურა, არც ჩვენი ისტორია. დიახ, კორნელი კეკელიძე თავად იყო შემოქმედი ამ კულტურისა და ამ ისტორიისა, ისევე როგორც ის წინაპრები, რომელთა ღვაწლის კვლევას მან მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შეალია.

ისინი, ის ჩვენი წინაპრები იმ დროის, ძველი საქართველოს კორნელი კეკელიძეები და ივანე ჯავახიშვილები იყვნენ. და სავსებით ბუნებრივია გრძნობა იმისა, რომ ჩვენ მათს ნაწარმოებში, სტრიქონსა და სტრიქონს შუა ვხედავთ, როგორ დარწმუნებით გულისხმობენ და ხშირად შორიდან, საუკუნეების სიღრმიდან ელაპარაკებიან კიდეც თავიანთი საქმის განგრძობით, თავიანთ მომავალს, ღრმად დარწმუნებულნი, რომ მემკვიდრენი ყოველ სიტყვას გაუგებენ მათ და საკაცობრიო სარბიელზე გამოსულ ქართულ აზრს კიდევ უფრო დართო სარბიელზე გაიტანენ, უფრო გააბრწყინებენ და აამაღლებენ.

კ. კეკელიძე თავის ბიბლიოთეკაში

და ეს ასეც მოხდა. ამაზე მეტყველებენ ვეებერთელა წიგნები კორნელი კეკელიძისა. ეს წიგნები თავად არის ჩვენი ქართული უნივერსიტეტი, ჩვენი ქართული აკადემია, ქართული სამეცნიერო ფილოლოგია.

ბეროდოტეს ძველმა ბერძნებმა ისტორიის მამა უწოდეს, მიუხედავად იმისა, რომ ბეროდოტემდე მათ არაერთი ისტორიკოსი ჰყავდათ. კორნელი კეკელიძე არის მამა ქართული ფილოლოგიისა, მიუხედავად იმისა, რომ მას არაერთი წინამორბედი ჰყავდა, რომელთაც ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეს. კორნელი კეკელიძემ დაადგინა გვინა წინა თაობათა დაწყებული საქმე და მთლიან სისტემაში მოიყვანა ქართული ლიტერატურის ისტორია; და განა ეს მარტო ჩვენი მბაღვრული მწერლობის ისტორიაა? იგი მოიცავს ერის სულიერი ცხოვრების ყველა დარგს, არა მარტო მხატვრულ, არამედ პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, თეოლოგიურ, იურიდიულ ძეგლებსაც; იგი ისევე, როგორც ივანე ჯავახიშვილი მოგვითხრობს ყველაფერზე, რაც კარგი, ლამაზი შეუქმნია ქართველ კაცს, მოგვითხრობს ყველაფერზე, რაც ქართველს მსოფლიო კულტურისა და ლიტერატურის საგანძურში შეუტანია.

შემთხვევითი როდი იყო, რომ ლიტერატურის ისტორიის მეცნიერებას კორნელი კეკელიძემ ასე უნივერსალური და ყოვლისმომცველი ხასიათი მისცა. სულ ახლახანს გამოცემული თავისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველი ტომის წინასიტყვაობაში იგი აღნიშნავდა:

„თუ სხვა, უცხო ერისა და ქვეყნის ლიტერატურის ისტორიაში ეპიგრაფიკულ მასალებსაც კი ეთმობა ადგილი, რატომ ჩვენ არ უნდა აღვნიშნოთ ისეთი ძეგლები მაინც, რომელნიც მაჩვენებელნი არიან ჩვენი წინაპრების ინტელექტუალური ინტერესებისა და მოთხოვნილებებისა, საზოგადოდ, ჩვენი კულტურული წარსულისა? ჩვენი მიზანია ფარდა ავხადოთ, რამდენადაც შესაძლებელია, ქართველების ძველ წერილობითს კულტურას და ვუჩვენოთ ე. წ. „დიდ“ ერებს კაპიტალისტური სამყაროდან, რომელნიც კულტურტრეგერების პრეტენზიებით გამოდიოდნენ და ახლაც გამოდიან, რომ შეიძლებოდეთ ... კულტურულ-ლიტერატურულ ... ...

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ამ სიტყვებით ხვდება ახლა ჩვენი დედაქალაქის თეატრალური საზოგადოებრობა და მომთხოვნი მაყურებელი მოსკოვის თეატრ „სოვრემენნიკის“ კოლექტივს, რომელიც დღეიდან თბილისს გრიბოედოვის სახელობის თეატრის სცენაზე იწყებს თავისი შემოქმედების ჩვენებას.

დღეს თბილისში იწყება თეატრ „სოვრემენნიკის“ გასტროლები

ამ თეატრის მსახიობთა დიდ ნაწილს ჩვენ ვიცნობთ სხვადასხვა კინოფილმებიდან. ესენი არიან ლ. ტოლმაჩოვა, ლ. კრილოვა, ტ. ლავროვა, ო. ტაბაკოვი, ვ. ზემინაკინი, მ. კოზლოვი, ლ. კრუგლი, ჰ. შჩერბაკოვი და სხვ. მაგრამ ეს არ არის მარტო „კინოვარსკვლავთა“ თეატრალური კრებული. ამ ჯგუფს მუდამ აღელვებდა დღევანდელი საბჭოთა თეატრის საჭირბოროტო საკითხები, იტაცებდა სცენური მხატვრული სიტყვის სიმართლე, სურდა კოლექტიური შემოქმედებით გახეხრიელებინა ის იდეალები, რასაც ელტვოდა საბჭოთა თეატრალური ხელოვნების შედეგრში — სამხატვრო თეატრი.

საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო „სოვრემენნიკმა“. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ ღამის 12 საათიდან დილის 6 საათამდე სამხატვრო თეატრის სკოლა-სტუდიაში იკრიბებოდნენ, კამათობდნენ, დავობდნენ, ბეჭობდნენ ახალგაზრდა მსახიობები. ეზრთა გაცელა-გამოცვლამ, ღამეებით გატაცებულმა მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ჩამოყალიბდა მოხალითური კოლექტივი.

„სოვრემენნიკის“ თეატრისათვის სრულიად უცხოა მოჩვენებითი თეატრალობა, ყალბი პათოსი, შაბლონი, ე. წ. შტამპები. რეალისტური პრინციპებით

მომუშავე თეატრს მკვეთრად ახასიათებს ხელოვნებაზე ერთიანი შეხედულება, მოქალაქეობრივი, მხატვრული ზნეობრივი ერთობა. თეატრში არ არიან წამყვანი მსახიობები. თუ რომელიმე მსახიობი ერთ დღეს ამა თუ იმ სპექტაკლში „თამაშობს მთავარ როლს, იმავე მსახიობს მეორე დღეს მასობრივ სცენაში ნახავთ და ზოგჯერ უსტყვოდაც.

საოცარი მახვილი ინტუიციით გრძნობს თეატრი თანამედროვეობას, აქტუალურ პრობლემებს. იგი არ ისაზღვრება მარტო თანამედროვეობის ამსახველი დრამატურგიული ნაწარმოებებით. ყოველი ნაწარმოები ისეა აყალიბებული, რომ ჩვენს დღევანდელ დღეს მკვეთრად ეხმაურება.

„სოვრემენნიკმა“ შეიყვარა და თავისად გაიხადა დრამატურგი ვ. როზოვი, რომლის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ჰუმანიზმი და ბრძოლა მეშჩანობის წინააღმდეგ. თეატრმა გულით იგრძნო კუზნეცოვის „ლეგენდის გაგრძელება“, დაიახლოვა დრამატურგი ა. ვოლოდინი, რომლის გმირებიც ცხოვრობენ თავიანთი, დროის ტკივილებითა და სიხარულით, შეისისხლხორცა ე. ჰემინგუეის „მეხუთე კოლონა“, რომელიც მოგვითხრობს ადამიანების მოქალაქეობრივ მოვალეობაზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ „მეხუთე კოლონა“ დადგა ჩვენმა თანამემამულემ რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ.

თეატრმა თავის სცენაზე აამეტყველა ედუარდო დე ფილიპოს ცნობილი პიესა „ქუდი სამოთხეში“, რომელიც 300-ზე მეტჯერ იქნა ნაჩვენები.

ზაკისა და კუზნეცოვის „ორი ფერი“, რომელსაც თეატრი თავის საპროგრამო სპექტაკლად თვლის, ბრძოლას უცხადებს გულგრილობას, მოუწოდებს ადამიანებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თბილისელი მაყურებელი გასტროლების დღეებში ნახავს სოვრემენნიკის“ ცნობილ დადგმებს, როგორიც არის კ. სიმონოვის „ძეთოხე“, ა. ზაკისა და კუზნეცოვის „ორი ფერი“, ე. შვარცის „ტიტველი მეფე“, ფილოპოს „არავინ“, ა. ვოლოდინის „ხუთი საღამო“, ა. უსტინოვის და ო. ტაბაკოვის „თოლია და შვიდი გოლი“, ე. ჰემინგუეის „მეხუთე კოლონა“, ა. ვოლოდინის „უფროსი და“, მ. ლევოსკის „ბავშვობის მეგობარი“ და ბლაუკის „მესამე სურვილი“.

სულითა და გულით ვუსურვებთ წარმატებას ჩვენს ძვირფას მოსკოველ მეგობრებს, რომელთა ხელოვნებაც, იმედია, სიხარულს მოგვანიჭებს.

მ. გოგოლაშვილი.

• • •

სურათებზე: სცენები თეატრ „სოვრემენნიკის“ სპექტაკლებიდან. მარცხნივ ვ. ბლაუკის „მესამე სურვილი“, მარჯვნივ ე. ჰემინგუეის „მეხუთე კოლონა“.

კოსმოსი — მშვიდობიანი მიზნით!

ჟენევა, 8 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების კომიტეტის იურიდიულ ქვეკომიტეტში გუშინ განსახილველად შეიტანა ორი წინადადება: კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენებისათვის სახელმწიფოთა საქმიანობის ძირითადი პრინციპების დეკლარაციის პროექტი და ავარიულად დაშვებული კოსმონავტებისა და კოსმოსური ხომალდების გადარჩენის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების პროექტი.

გუშინდელ სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ქვეკომიტეტში პროფესორი გ. ი. ტუნკინი. მან განაცხადა, რომ დიდმნიშვნელოვანი საერთლეგრივი პრობლემებისადმი შეთანხმებული მიდგომის შემუშავება, რომლებსაც თვით ცხოვრება აყენებს სახელმწიფოთა წინაშე კოსმოსის საუკუნეში, შექმნიდა ხელსაყრელ საერთაშორისო წანამძღვრებს შემდგომი პროგრესისათვის კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნით კვლევისა და გამოყენების საქმეში, ხელს შეუწყობდა ფართო თანამშრომლობას ამ დარგში. საბჭოთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოსმოსის ათვისების კარდინალური საერთაშორისო პრობლემაა კოსმოსური სივრცის სამხედრო მიზნით გამოყენების აკრძალვა, ესე იგი მისი ნეიტრალიზაციისა და დემილიტარიზაციის პრობლემა. პროფესორმა გ. ი. ტუნკინმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციის მიერ წამოყენებული დეკლარაციის მიღება კარგ საფუძველს შექმნიდა საერთაშორისო თანამშრომლობისათვის კოსმოსის ათვისების საქმეში.

დეკლარაციაში ჩვენ ვითვალისწინებთ, თქვა მან, განმტკიცდეს როგორც საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა და აიკრძალოს პრეტენზიების წამოყენება კოსმოსურ სივრცეზე და ციურ სხეულებზე სუვერენიტეტის გავრცელებისადმი, ავრეთვე კვლავ დადასტურდეს, რომ კოსმოსური სივრცე და ციური სხეულები აღმოჩენილია ყველა სახელმწიფოს მიერ კვლევისა და გამოყენებისათვის.

დეკლარაციაში, კერძოდ, დადასტურებული უნდა იყოს, რომ ხელოვნური თანამგზავრების გამოყენება ჯაშუშურ-სადაზვერვო ინფორმაციის შესაგროვებლად შეუთავსებელია მაღალ მიზნებთან, რომლებიც დასახულია კაცობრიობის წინაშე კოსმოსური სივრცის ათვისებაში. კოსმოსიდან ჯაშუშობა წარმოადგენს ჩარევას სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში, მათი კანონიერი უფლებებისა და უშიშროების ინტერესების ხელყოფას.

საბჭოთა წინადადებანი კოსმოსის კვლევის შესახებ

დიდმნიშვნელოვანი საკითხია აგრეთვე იმის უზრუნველყოფა, რომ ისეთი მეცნიერული და ტექნიკური მიღწევები, როგორიც არის, მაგალითად, კავშირგამაუნლობის თანამგზავრები, გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ხალხთა შორის უკეთესი ურთიერთგაგებისა და სახელმწიფოთა ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ინტერესებისათვის.

ამ პრობლემას მჭიდროდ უკავშირდება მეორე საკრძოროტო საკითხიც. ცნობილია, რომ ზოგიერთი მძლავრი კერძო კაპიტალისტური ფირმა, რომლებიც კონტროლს უწევენ მსოფლიო რადიოტელეგრაფიისა და სატელეფონო კავშირის მნიშვნელოვან ნაწილს, აპირებს დაიწყოს „კოსმოსის საკუთარი ათვისება“. ასეთი ფირმებისათვის კოსმოსში საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭებას შეიძლება მოჰყვეს ყველაზე არასასურველი შედეგები, საერთაშორისო თანამშრომლობის შეცვლა კერძო კაპიტალისტური კონკურენციით.

კოსმოსის ათვისების პრაქტიკამ წამოაყენა კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის სწორი გადაჭრა, ჩვენი ღრმა რწმენით, ხელს შეუწყობს ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას, განაცხადა საბჭოთა წარმომადგენელმა.

საქმე ეხება, იმას, რომ დღემდე კოსმოსში, სამწუხაროდ, ხორციელდებოდა ან დასახულია ექსპერიმენტები, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ სხვა ქვეყნებს ათვისონ კოსმოსი ან გაანელონ ეს.

მაგალითად, ჩვენ არ შეგვიძლია სინანული არ გამოვთქვათ იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საზოგადოებრიობის, მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მეცნიერთა წინააღმდეგობის მიუხედავად, არ აპირებენ უარი თქვან ისეთი ექსპერიმენტების მოწყობაზე, როგორიც არის კოსმოსის დანაგვიანება სპილენძის ნემსებით.

კიდევ უფრო შესაშფოთებელი ფაქტი იქნებოდა ამერიკის ატომური აფეთქებანი დიდ სიმაღლეზე. ასეთი გამოცდის მოწყობა ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, რომელიც სიტყვით მოითხოვს თანამშრომლობას, სსრ კავშირთან ერთობლივ მოქმედებას, რომლის მიზანია დაჩქარდეს კოსმოსური სივრცის ათვისება მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის, საქმით ავრცელებს ახლა კოსმოსში გამალებულ შეიარაღებას, ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ეს ქმნის ახალ დაბრკოლებებს კოსმოსური სივრცის კვლევისა და ათვისების საქმეში და საფრთხეც კი შეიძლება შეუქმნას კოსმონავტების სიცოცხლესა და უშიშროებას.

შემდეგ გ. ი. ტუნკინმა დაახასიათა საბჭოთა დელეგაციის მიერ წამოყენებული საერთაშორისო შეთანხმების პროექტი, რომელიც შეიცავს სახელმწიფოთა კონკრეტულ მკაფიო ვალდებულებებს იმის შესახებ, რომ საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაუწიონ მომავალ კოსმონავტებსა და კოსმოსურ ხომალდებს.

საბჭოთა დელეგაციის კონსტრუქციული წინადადებებს უარყოფითად შეხვდა ამერიკის წარმომადგენელი ქვეკომიტეტში, რომელმაც განაცხადა, თითქოს საბჭოთა წინადადებანი „პროპაგანდისტულია“ და სრულებით არ არის მისაღები ამერიკის შეერთებული შტატებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი არა თუ არ დათანხმდა მიეღო საბჭოთა წინადადებანი, არამედ, როგორც შემდეგ გამოირკვა, უარყო საბჭოთა დელეგაციის წინადადება შეეტანათ საბჭო-ამერიკის წინადადებათა ერთობლივი პროექტი.

ქვეკომიტეტში ამერიკის წარმომადგენლის გამ[illegible] დაგმეს მთელმა რიგმა დელეგატებმა.

დღეს ქვეკომიტეტი განაგრძობს საბჭოთა წინადადებების განხილვას.

ტელეგრაფი გვატყობინებს

ახალი ატომური აფეთქებანი

△ ვაშინგტონი, 10 ივნისი. (საკდესი). ატომური ენერგიის კომისიამ გამოაცხადა, რომ შობის კუნძულის რაიონში მოხდა მორიგი ატომური აფეთქება. ეს ატმოსფეროში ატომური იარაღის გამოცდის ახლანდელი სერიის მე-16 აფეთქებაა, რომელებსაც შეერთებული შტატები აწყობენ.

△ ვაშინგტონი. 11 ივნისი. (საკდესი). გუშინ შეერთებულმა შტატებმა შობის კუნძულის რაიონში განახორციელეს მორიგი ატომური აფეთქება. ატომური მოწყობილობა თვითმფრინავიდან ჩამოაგდეს. ეს არის მე-17 აფეთქება ატმოსფეროში ატომური იარაღის გამოცდის ახლანდელი სერიიდან რომელსაც ამერიკელები ახორციელებენ.

კომუნისტების დაპატიმრება არგენტინაში

△ ბუენოს-აირესი, 9 ივნისი. (საკდესი). არგენტინის პრეზიდენტმა გადომ ხელი მოაწერა სპეციალურ დეკრეტს, რომელიც ნებას იძლევა „დაუბრკოლებლად“ დაპატიმრონ კომუნისტური პარტიის წევრები. „პრესის ცნობებით, კორდოვას პროვინციაში დაპატიმრებულია ასამდე კომუნისტი.

ალიაქოთი სეულში

პარიზი, 11 ივნისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი სეულიდან იუწყება, სამხრეთ კორეაში დიდი ალიაქოთი გამოიწვია საგალუტო რეფორმამ, რომელიც პაკ ჯონ ხის მთავრობამ გამოაცხადა.

მილიონობით სამხრეთ კორეელმა გუშინ გაიგო, რომ მთელი ნაღდი ფული, რაც ხელთ აქვთ, გაუფასურებულია. ძველი ხელანების ახლიზე გადაცვლა მოხდება ერთი კვირის განმავლობაში 10:1 პროპორციით.

ბევრი სამანკო ანგარიში მთლიანად გაყიხულია, ამის შედეგად სამრეწველო და კომერციული საქმიანობა სამხრეთ კორეაში სავსებით შეჩერდა.

თავზარდაცემულმა დიასახლისებმა გუშინ დილით იერიში მიიტანეს მაღაზიებსა და ბაზრებზე, ამაოდ ცდილობდნენ თავიდან მოეშორებინათ ძველი ფული, ყიდულობდნენ პროდუქტებსა და სამრეწველო საქონელს. ფასებმა ერთბაშად 50 პროცენტით იაწია. ბევრი მაღაზია დაიკეტა: მეპატრონეებმა უარი განაცხადეს, რომ გაეყიდათ თავიანთი საქონელი.

ოას-ელები თარეშობენ

პარიზი, 11 ივნისი. (საკდესი). ალჟირის ქალაქები და დასახლებული პუნქტები ხახრის კვამლშია გახეული. იწვის სკოლები, ბიბლიოთეკები, დაწესებულებები, სამრეწველო საწარმოები.

პარიზის ბურჟუაზიული გაზეთი „ფიგარო“ დღეს იუწყება, რომ უკანასკნელ ორ დღე-ღამეში მარტო ქალაქ ალჟირში ოას-ელმა ბახდიტებმა მოახდინეს ორმოცდაათი აფეთქება და ხანძარი. მთლიანად დანგრეულია 25 საზოგადოებრივი და კერძო შენობა, ათი სკოლა, პოლიციის კომისარიატი, ფეხსაცმლის ფაბრიკა და რამდენიმე მაღაზია...

ოას-ელთა ბანდების მეთაურები ახალ უბედურებას უმზადებენ ალჟირს.

ცნობილმა ვიშეკმა და კოლაბორაციონისტმა სალანის ადვოკატმა ტიქსეე-ვინიანკურმა განაცხადა, რომ ამის წინათ გაიმართა საფრანგეთიდან გაქცეული ბიდოს, სუსტელისა და ყოფილი პოლკოვნიკის არგუს შეხვედრა, რომლებმაც გადაწყვიტეს პრაქტიკული მოქმედება დაიწყონ ალჟირის დანაწილებისათვის.

აშშ ამზადებენ დამსჯელებს

ნიუ-იორკი, 11 ივნისი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი რიჩარდ ედერი სანტო-დომინგოდან იუწყება, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებიც ისახავენ როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკურ მიზნებს“, დაიწყეს დომინგოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გადამზადება.

გათვალისწინებულია, აღნიშნავს კორესპონდენტი, დომინგოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები გადაქცეონ „პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ ორგანიზაციად“. ამასთან დაკავშირებით ამერიკის კორპუსის საზღვაო ქვეითი ჯარის პოდპოლკოვნიკის ვოლფის ხელმძღვანელობით იქმნება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მისია, რომელიც 44 კაცისაგან შედგება. მისია მომამზადებს დომინგოელ ინსტრუქტორებს პატრიოტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

10 ივნისს ჩილის სტადიონებზე

10 ივნისს ჩილის სტადიონებზე გაიმართა მეოთხედფინალური მატჩები. გამოელინდა ის ოთხი გუნდი, რომლებიც ნახევარფინალსა და ფინალში იბრძოლებენ „ოქროს ქალაქებისათვის“. ჩილის ქალაქები არიკა, სანტ-იაგო, ვინია-დელ-მარი, რანკაგუა მოწმე იყო დაძაბული და მაღალტექნიკური ბრძოლებისა.

იუგოსლავეთის ნაკრებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხა **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის** ნაკრები. ბურთი **რადაკოვიჩმა** გაიტანა.

ბრაზილიამ ანგარიშით 3:1 დაამარცხა **ინგლისის** ნაკრები. ბურთები გაიტანეს **გარინჩამ** (2) და **ვავამ**, ინგლისელმა **ჰიტჩენსმა.**

ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდისა და **უნგრეთის** ნაკრები გუნდის ორთაბრძოლა გადაწყვეტა ერთადერთმა გოლმა, რომელიც ჩეხმა თავდასხმელმა **შერომა** გაიტანა. მატჩი მოიგო ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა ანგარიშით 1:0.

ამრიგად ნახევარფინალში, რომელიც 13 ივნის. გაიმართება, ერთმანეთს შეხვდებიან: სანტ-იაგოში — **ბრაზილია-ჩილი;** ვინია-დელ-მარში — **იუგოსლავია-ჩეხოსლოვაკია.**

ასპარეზობა გელგრადში

ბელგრადში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში. უკანასკნელი შეხვედრა საბჭოთა წყალბურთელებმა ჩაატარეს იუგოსლავიის ნაკრებთან. ამ მატჩს უნდა გამოვლინდენა ტურნირში გამარჯვებული. წინადღიით იტალიელებმა უარი თქვეს იუგოსლავებთან შეხვედრაზე იმ მოტივით, რომ წყლის ტემპერატურა დაბალიაო, და მათ წაგება ჩაეთვალათ. იუგოსლავებმა თავდაცვითი ვარიანტი აირჩიეს და დიდხანს იჭერდნენ ბურთს. მალე მათ 4-მეტრიანი საჯარიმოდან ერთი ბურთი გაიტანეს, რაზედაც ჩვენმა წყალბურთელებმა ერთით უპასუხეს. ბურთი მშვენიერადემ გაიტანა. 1:1 ასე დამთავრდა ლიდერთა შერკინება. საბჭოთა და იუგოსლავიის ნაკრებმა გუნდებმა ერთნაირი ქულები დააგროვეს, მაგრამ ბურთების უკეთესი შეფარდებით პირველი ადგილი იუგოსლავებს ხვდათ.

„ნეფტიანიკი“ — გდრ-ში

ბაკოს „ნეფტიანიკის“ ფეხბურთელთა გუნდი ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად იმყოფება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. აზერბაიჯანელმა ფეხბურთელებმა პირველი შეხვედრა გამართეს დრეზდენში ადგილობრივი „აინპაიტის“ წინააღმდეგ და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

ი. სისიკინის გამარჯვება

**რომი, 11 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა მოფარიკაავემ იური სისიკინმა გაიმარჯვა რაპირისტთა ტრადიციულ ტურნირში ბოლონიაში და მოიკო